პარასკევი, 18 ივლისი 1919 წ. | წელიწადი მეორე. | 20 თამუზისა, 5679 წ.

# ხმა ებრაელისა

სიონიზმი მიილტვის შეჰქმნას ებრაელ ერისთვის საერთაშორისო უფლებით უზრუნველყოფილი ეროვნული ცენტრი პალესტინაში. (ბაზელის პროგრამა).

ფასი 2 მანეთი.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. ხელმოუწერილი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.
კანტორა ღიაა ყოველდღე, შაბათებისა და უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან 1 საათამდე. ფული და ყოველგვარი კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Адвокатская ул., № 8 ред. „ХМА ЭБРАЕЛИСА".

№ 10 | ორგანო სიონისტთა ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის. | № 10

# 1904 წ. ჰ ე რ ც ლ ი. 1919 წ.

**ქუთაისი, 18 ივლისი.**
(20 თამუზი.)

დღეს მსოფლიო ებრაელობა ზეიმობს ჰერცლის დღესასწაულს.

დღეს შესრულდა თხუთმეტი წელი ჰერცლის გარდაცვალებიდან.

ამ ხნის განმავლობაში ებრაელ ერს დაატყდა თავზე მრავალი აწიოკება და დარბევა, ერთი უბედურება მეორეზე მეტი საშინელი. გვეგონა ერის ტანჯვა ვაებამ უკანასკნელ საზღვრამდის მიაღწიაო, მაგრამ დადგენ საშინელი ომის წლები და ებრაელთა ტანჯვის უფსკრულში მოულოდნელათ აღმოჩნდა ახალი სიღრმე. ახალი წამებათა ოკეანოსმა ჩასძირა და დაივიწყა წინანდელი მწუხარებანი-მაგრამ ჰერცლის სახე უფრო და უფრო ბრწყინავდა თავის მისტიური სილამაზით ჩვენს გულში. ყოველთვის იდგა ის ჩვენს შორის, აშუქებდა და ათბობდა ჩვენ სიცოცხლეს ეს ადამიანი, რომელიც სიცოცხლეშივე გადიქცა თავისი ერის ამაყდა მნათობ ლეგანდათ, შემოქმედებითი ძალისა და იმედების ამოუშრობელ წყაროდ. თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩვენ განუწყვეტლივ, გულითა და აზრით, თითქოს ჯერ კიდევ ცოცხალს, ჩვენ წინ მდგომს, მივმართავდით ჩვენს წინამძღოლს მოეცა ჩვენთვის პასუხი, რჩევა და მხნეობა. ჩვენ ყოველთვის, ყოველგვარ საქმეში, მუშაობაში, ვსინჯავდით ჩვენ თავს მისი აზრებით, მისი სიტყვებით და ანდერძებით.

ამ ომის დროსაც, როდესაც ირგვლივ ცეცხლი და რკინა მეფობს, როდესაც გამარჯვების ერთად-ერთ და უტყუარ საწინდრათ ითვლება მატერიალური ძალა და ჩვენი ერის ძველი აღთქმა: **„არა ომით, არა ძალით—არამედ სულით,"** — მხოლოთ დაცინვის მოწგვრელია; როდესაც ჩვენი ბრძოლისთვის საშვალებანი არაფრათ ღირებულათ და უნაყოფოთ ითვლება ცეცხლითა და მახვილით მებრძოლთათვის,—ჩვენი წინამძღოლი კიდევ გვაღგნებს ჩვენ ებრაულობის აღმოუფხვრელ რწმენაზე, რომ იდეა და სული არიან ის ძალა, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვებს, რომ **იდეისა და მისწრაფების დროშის ქვეშ შეიძლება ბრძოლა და გამარჯვება.**

და, როდესაც სულ უფრო და უფრო მრავლდებოდენ დაბრკოლებანი, შინაგანი და გარეგნული, რომელნიც ხშირად უძლეველნი გვეგონა; როდესაც ჩვენი ერის მუშაობის დროს, როგორც მძიმე ბრინჯაოდან გამოქანდაკების დროს, გვისისხლიანდებოდა არა თუ მარტო ხელები, არამედ სულიც-კი,-მაშინ ჩვენ წინ წარმოსდგებოდა სახე წინამძღოლისა მისი დაულეველი, ფოლადური ენერგიით და შეურყეველი რწმენით თვისი საქმის გამარჯვებაში, ტიტანიური სულიერი ძალით, რომელიც არ ამჩნევს და არ სცნობს დაბრკოლებას." „ჩვენთვის არასფერი არის შეუძლებელი." „ებრაელები, **რომელნიც მოინდომებენ, ექნებათ თავიანთი სახელმწიფო". „თუ თქვენ მოინდომებთ, ეს არ დარჩება ზღაპრათ"**- გვეუნებოდა ყოველთვის ჰერცლი.

და ჩვენი ყოველ-დღიურ მუშაობაში, როდესაც ის ბევრისათვის მოკლებული იყო სულს და არ ანათებს მათ იმ იდეის სხივი, რისთვისაც ეს საქმე კეთდება, როდესაც წარსული და გარდამავალი ჩრდილავს მარადიულსა და სამარადისოს,- მაშინ ჩვენს წინ წარმოსდგება ჩვენი გმირი, რომელიც ყოველგვარ მუშაობას **მოუდგებოდა** მხოლოთ დიადი იდეის მხრივ, რომელმაც თავის ერისათვის ბრძოლა გააშუქა კაცობრიობის უდიადესი იდეალებით: **„როგორი იქნებიან ის უკეთესი დღენი, რომელთაც ჩვენ მოველით? მთავრდება თუ არა მათი შინაარსი პალესტინაზე დაპატრონებით, ჩვენი გულების გადიდებით და დაწყნარებული ცხოვრებით? არა! ის ჩვენთაგანი, რომლებიც მზად არიან მთელი ძალ-ღონე შესწირონ ჩვენ საქმეს, გულწრფელად ინანებენ დახარჯულ შრომაზე, თუ კი ამ უკანასკნელის შედეგათ იქნება შექმნა მხოლოდ ახლ სა და არა უკეთესი საზოგადოების"** გარდაცვალების წინათ, ჰერცლმა მისწერა ახალგაზდებს: „მე სადღაც ვთქვი, რომ სიონიზმი არის სამარადისო იდეალი და, მე ჭეშმარიტად მწამს, რომ მის მერე, როდესაც პალესტინა იქნება ჩვენს ხელში, სიონისტური მისწრაფება არ შესწყდება, ვინაიდან სიონიზმი, როგორადაც მე ის მესმის—არის არა მარტო მისწრაფება ებრაელი ერისთვის თავშესაფარის შექმნა, არამედ ის არის აგრეთვე მისწრაფება სულიერი და მორალური გაუმჯობესებისაკენაც". ეხლა კი, როდესაც ჰერცლმა გაიმარჯვა,—როდესაც ჩვენ ბრძოლაში გავიმარჯვეთ იმ საშუალებების წყალობით, რომელიც გვიანდერძა ჰერცლმა და ამ გამარჯვებამ მეტათ საგრძნობელ წერტილამდის მიაღწია სწორედ მისი გარდაცვალების საიუბილეო მეთუთხმეტე წლის თავზე—ჩვენ მხოლოდ ვზეიმობთ ამ წლის თავზე. დღეს ჩვენი ერის სულში იქსოვა უმშვენიერესი გვირგვინი იუბილიარისთვის უღრმესი სიყვარულისა და მადლობისაგან. დღეს ის ჩვენთან ერთად დღესასწაულობს და გვიჩვენებს იმ გზის დასასრულს, რომელსაც მივყავართ მის საბოლოო მიზნისაკენ!..

რას გვასწავლის, რას გვავალებს დღევანდელი დღე ჩვენ, როდესაც პალესტინა ჩვენს უფლებათა განკარგულებაში გადმოვიდა? არის თუ არა ეს საბოლოო მიზანი ჰერცლისა?-არა! დღევანდელი ჩვენი გამარჯვება, პალესტინაზე ებრაელი ერის გაბატონება, არის მხოლოთ ის უმთავრესი საშუალება, რომელიც შესაძლებლობათ ხდის თავისუფლად ვიმოქმედოთ იმ დიადი მიზნის განსახორციელებლათ, რომელიც დაისახა ჩვენმა ერმა: „სიონიდან უნდა გამოვიდეს შუქი, რომელიც გაანათლებს მთელ კაცობრიობას", „სიონიზმი არის არა მარტო მისწრაფება ებრაელი ერისათვის თავშესაფარის შექმნა, არამედ ის არის აგრეთვე სულიერ და მორალურ გაუმჯობესებისაკენ მისწრაფებაც, და ამ მიზნისათვის მუშაობა იქნება უმშვენიერესი და ღირსეული ძეგლი ჩვენი წინამძღოლისათვის.

და ჩვენც, საქართველოს ებრაელობამაც, მსოფლიო ებრაელობასთან ერთად მონაწილეობა უნდა მივიღოთ ძვირფასი ჰერცლის გვირგვინის ქსოვაში,—ჩვენც უნდა შევიტანოთ ღირსეული წვლილი სამშობლო ერეც-ისრაილის აყვავებაში.

სიონისტთა ორგანიზაციამ დაადგინა ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს ებრაელთა შორის მოახდინოს ფულის მოკრება, პალესტინაში საქართველოს ებრაელობის სახელობის კოპერატიული კოლონიის მოსაწყობათ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ სიმპატიურ დაწყებას ღირსეულათ შეხვდება საქართველოს ებრაელთა ფართო მასსა და გამოიღებს საჭირო თანხას ამ მიზნის განსახორციელებლათ. გვწამს, რომ ჩვენი საზოგადოება, რომლის გულში არის უღრმესი სიყვარული პალესტინსადმი, რომლისაკენაც ის მოუთმენლათ მიისწრაფის,—არაფერს დაიშურებს მისი აყვავებისათვის.

მაშ ღირსეულად დავაფასოთ ჩვენი ძვირფასი, დაუვიწყარი წინამძღოლი ჰერცლის ხსოვნა!

## ჰ ე რ ც ლ ი.

(ბიოგრაფია)

ჰერცლი დაიბადა 2 მაისს 1860 წ. ქ. ბუდაპეშტში. მშობლებმა მისცეს მას მშვენიერი ევროპიული განათლება. ებრაულ ენას ის თითქმის არ სწავლობდა და საზოგადოთ ცოტათ იცნობდა თავის ერს, იმ ერს, რომელსაც მან შესწირა მთელი თავის ქონება და თვით სიცოცხლეც კი. 1878 წელს მან 18 წლისამ დაამთავრა ბუდაპეშტის გიმნაზია *) და შევიდა ვენის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც ჩინებულათ დაამთავრა. სტუდენტობის დროს ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა „გერმანელ ნაციონალისტების" წრეში, სადაც დაადგინეს მეტი ებრაელი აღარ მიიღონ და ვინც კი მიღებულ იყო დასტოვეს. ერთად ერთი ებრაელი იყო ჰერცლი, რომელმაც დაუყოვნებლივ დასტოვა კორპორაცია.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისამებრ 1882 წელს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის სასამართლოში მოკლე ხნის სამსახურს, ის შეუდგა ლიტერატურულ მუშაობას. სწერს პიესებს, რომლებსაც დიდის სიამოვნებით სდგამენ ვენის და სხვა ქალაქების თეატრებში. ასე გაატარა მან რამდენიმე წელიწადი. 1889 წელს მან შეირთო ცოლი. ქორწინების შემდეგ მოგზაურობს და ამ დროს სხვა და სხვა გაზეთების რედაქციები მას სთხოვენ თუ რედაქტორობას და თუ თანამშრომლობას. ჰერცლი ირჩევს ვენის გაზეთ „ნოიე ფრაიე პრესს". 1891 წელს ის იგზავნება ამ გაზეთის კორესპონდენტათ პარიზში. პარიზში ყოფნის დროს ის გაეცნო მაქს-ნორდაუს, თავის მომავალ უფროს ამხანაგსა და მოადგილეს, და ეცნობა ფართო საზოგადოებას. ასე ატარებს ჰერცლი თავის ცხოვრებას პარიზში. ამ დროს იფეთქა დრეიფუსის საქმემ, რომელმაც ძალიან ცუდი შთაბეჭდილება იქონია ჰერცლზე, ვინაიდან ის გრძნობდა, იცოდა, რომ დრეიფუსი სრულებითაც არ იყო ბრალდებული საფრანგეთის ღალატში და ეს იყო მმართველ, ანტისემიტურათ განწყობილ წრეების საქმე. ამ დროს საზოგადოთ ებრაელობის მდგომარეობა რთულდება და მათ ყველგან დევნიან.

1895 წელს ჰერცლი სწერს თავის უკვდავ წიგნს „ებრაელთა სახელმწიფო", რომელიც გადიქცა ქვაკუთხედათ თანამედროვე სიონიზმისათვის. ჩვენ აქ არ შეუდგებით ამ წიგნის შინაარსის აღწერას, მხოლოთ ვიტყვით, რომ საზოგადოებამ უწოდა ჰერცლს „ფანტაზიორი" და კიდეც დასცინოდენ და შეძლებისამებრ ჰკიცხავდენ მას. ის რჩევას იღებს მაქს-ნორდაუსგან და, უკანასკნელი უდასტურებს რა გამოსცეს წიგნი, ჰერცლი შეუდგა საქმეს. გამოცემისთანავე ზოგნი იცინოდენ ჰერცლზე, როგორც „ბრიყვ ბავშზე", ზოგნიც კი აღელდენ და საგრძნობლათ შესწუხდენ. მხოლოთ შედარებით მცირე ჯგუფი თანაუგრძნობდა ჰერცლს. ამ წელსვე ის ინიშნება გაზეთ „ნოიე ფრაიე პრესს"-ის საფელეტონო განყოფილების რედაქტორათ. თვით ჰერცლმა არ იცოდა, თუ როგორ გახდა ის ასე უეცრათ სიონისტათ. ჰერცლი არ სცხრებოდა; ის მოგზაურობს, კითხულობს რეფერატებს, მოხსენებებს, ლექციებს, ეწევა აგიტაციას და ასე ამ გვარათ ჰპოულობს თანამოაზრეებს და ამზადებს ნიადაგს კონგრესსისათვის, რომელიც მისი აზრით იქნებოდა მთელი ებრაელობის სურვილების გამომხატველი და, როგორც ასეთი, მათი წარმომადგენელი ორგანო. სწორეთ კონგრესმა უკვდავჰყო ჰერცლის სახელი. 1897 წელს ქ. ბაზელში შეკრებილ იქმნა პირველი

*) პირველათ ჰერცლი სწავლობდა ბუდაპეშტის რეალური სასწავლებელში, მაგრამ შემდეგი შემთხვევის გამო გადვიდა გიმნაზიაში: მასწავლებელი რაღაცას უხსნიდა მოწაფეებს და სხვათა შორის კერპთაყვანის მცემელთა შორის მოიხსენია ებრაელებიც. ამ სიტყვებმა თავზარი დასცა ჰერცლის თვითმოყვარეობას და ამ წელსავე მიატოვა სასწავლებელი და გადვიდა გიმნაზიაში.

სიონისტთა კონგრესი, რომელმაც შეიმუშავა ცნობილი „ბაზელის პროგრამმა". მთელ ორგანიზაციულ და მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს ჰერცლი. კონგრესზე ირჩევა პრეზიდენტათ და კითხულობს საპროგრამმო სიტყვას. ამ გვარათ მან შეჰქმნა მძლავრი სიონისტური ორგანიზაცია. ამავე წელს მან დაიწყო თავის რედაქტორობით და თავის ხარჯით ყოველ კვირეულ სიონისტურ ორგანოს გამოცემა: „დი ველტ". ამ ორგანოს საშვალებით ის ბეჭდვით აგიტაციასაც ეწეოდა და მოწინააღმდეგეებსაც ებრძოდა. კონგრესსმა შეაკავშირა გალუთში 2000 წლის დაქსაქსული და დაყოფილი ებრაელობა. 1898 წელს მეორე კონგრესზე სთქვა ახალი რამ ორგანიზაციისთვის და მოძრაობისთვის; ეს იყო ფრაზა; „ლეხუ ქიბშუ კეილოთ"-ებრაელთა საზოგადოების დაჭერა და დაინტერესება ამ დიად ეროვნული საქმით. ამ კონგრესზე ჰერცლის ინიციატივით არსდება „ებრაული კოლონიალური ბანკი". ყოველი კონგრესების მოწვევის წინ ემჩნეოდა, რომ ორგანიზაცია საგრძნობლათ იზრდებოდა, მრავლდებოდა და ძლიერდებოდა. ჰერცლი, როგორც აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდენტი აწარმოებს დიპლომატიურ მოლაპარაკებას სხვა და სხვა სახელმწიფოების მფლობელებთან და მთავრობებთან. მან ინახულა ოსმალეთის სულთანი, რომელმაც იგი დაარწმუნა სიონიზმისადმი სიმპატიაში და მიიღო ის, როგორც იღებენ ხოლმე მეფეებს. 1898 წელს ის მიემგზავრება პალესტინაში და იქ ინახულა ვილჰელმ 11. ამ აუდიენციის შინაარსი ჩვენ არ ვიცით, მხოლოთ ჰერცლი კი დიდი კმაყოფილი დარჩა. ის აწარმოებს მოლაპარაკებას ინგლისის მთავრობასთანაც და რომ უფრო დაინტერესოს ინგლისის ებრაელობა სიონიზმით აწყობს მეოთხე კონგრესს 1900 წელს ლონდონში. ინგლისში მას დიდი იმედები მისცეს.

1901 წელს მეხუთე კონგრესმა გადასწყვიტა დაარსდეს ებრაული ეროვნული ფონდი; მიუხედავათ იმისა, რომ ეს პროექტი შეიმუშავა ჰეიდელბერგის პროფესორმა შაპირომ, მაინც ამ ინსტიტუტის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ჰერცლს.

მეხუთე და მეექვსე კონგრესს შუა ის რწმუნდება, რომ ოსმალეთის მთავრობა არ სთანხმდება პალესტინის დასახლების საშვალება მიეცეს ებრაელებს და მიმართა ისევ ინგლისს. ინგლისმა წინადადება მისცა მას დროებით „თავშესაფარი" შეჰქმნან ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, უგანდაში. ჰერცლი დაპირდა მთავრობას, რომ ამ წინადადებას კონგრესს წარუდგენო. 1903 წელს ჰერცლი გაემგზავრა რუსეთში და იქ ინახულა პლევე. შემდეგ უკან დაბრუნებისას გზათ გაიარა ვილნაში, სადაც ის ებრაელობამ რაბინის მეთაურობით მიიღეს, როგორც მათი მხსნელი, მათი მამა და ერთად ერთი მათი იმედი. 1903 წელს შესდგა მეექვსე კონგრესი, რომელსაც ჰერცლმა წარუდგინა „უგანდის პროექტი". ამ პროექტზე თავის მოხსენებაში მან სთქვა, რომ ეს არ არის სიონი და თავის დღეში არც შეიძლება გახდეს სიონათ. მხოლოთ ეს იქნება გარდამავალ ნაბიჯათ სიონისკენო. მაგრამ კონგრესზე მოხდა განხეთქილება: ერთნი მოითხოვდენ, რომ უგანდის საკითხი სულ არ განიხილოს და მეორენი კი (უმცირესობა) თხოულობდენ, რომ უგანდა იქნეს საბოლოო ჩვენი მიზანი და მისწრაფებაო (აქიდან წარმოიშვენ ტერიტორია ლისტები). ჰერცლმა ორივე მხარე შეარიგა და შეათანხმა ისინი შემდეგ რეზოლიუციაზე: „გაგზავნილ იქნას ექსპედიცია უგანდას განსახილავათ, რამდენათ ის საკარგისია კოლონიზაციისათვის", და შემდეგ 7 კონგრესისთვის შედეგები უნდა ეცნობათ. მხოლოდ ბედმა არ არგუნა ჰერცლს არამც თუ თავის იდეალების განხორციელებას მოსწრებოდა, არამედ მეშვიდე კონგრესზეაც ველარ დაესწრო. ეს კონფლიკტი და განხეთქილება გაქარწყლებულ იქმნა და ორგანიზაცია გიგანტურ ნაბიჯებით წინ სვლას განაგრძნობდა მეშვიდე კონგრესიდან, რადგან უგანდის საკითხი უკანასკნელათ უკუგდებულ იქმნა. მაგრამ ამ დღეზე მეოცნებე ჰერცლი დაიქანცა, ჯერ კიდევ ახალგაზდა უდროვოთ დაავადმყოფდა და კიდეც სამუდამოდ მოგვშორდა. 10 წლის ზედ მიღწევნით და გასაოცარ მუშაობამ, დღე და ღამ განუწყვეტელმა მუშაობამ დაჰქანცა მისი ჯანმრთელი სხეული და 1904 წელში უფრო სუსტად გრძნობდა თავს და თვითონვე არ ქონდა იმედი თავის მორჩენის. მაგრამ მას ამხნევებდა ის იმედი, რომ მის მიერ დაწყებული საქმე პირნათლათ და ბრწყინვალეთ გაიმარჯვებს. ბედკრული დაწყევლილ 20 თამუზს საღამოს 5 საათზე სამუდამოთ განისვენა ჩვენმა ეროვნულმა გმირმა, ჩვენი ერის იმედმა.

და ყველამ იგრძნო ის დაკარგვა, რაც ებრაელობამ დაჰკარგა ჰერცლის სახით, ყველამ იგრძნო თუ რა უბედურება ეწვია ისრაელს, რომელსაც სიკვდილმა წაჰგლიჯა შეუწყალებელ ხელით მისი მშვენიერება, მისი სიამაყე, მისი იმედი და იდეალი.

მ. თ—ლი.

## ჰერცლი.

ამბობენ: ოცი თამუზი ჰერცლის სიკვდილის წლის თავიაო. მაგრამ, ნუთუ ბუნებამ კაცობრიობას ასე უხვად აჩუქა ჰერცლები, რომ ისინი კვდებოდენ? და ნუთუ კერძოთ ებრაელ ერს მთელი მისი ორი ათასი წლის ძოწიალ ცხოვრებაში ორი ჰერცლი ჰყავდა, რომ მისი სიკვდილი შესაძლებელი ყოფილიყო? მაშ რაღა არის მთელი რიგი მსოფლიო სიონისტთა კონგრესები; მაშ რა არის ის მძლავრი, მთელ მსოფლიოზე მოფენილი, ორგანიზაცია, რომელმაც უკვე გაიმარჯვა? მაშ რა არის სტოკჰოლმისა და ლონდონის დეკლარაციები? რა არის ბერნის და ამსტერდამის სოციალისტური კონფერენციების რეზოლიუციები ებრაელთა საკითხებზე? რა არის პარიზის კონფერენციის, ოთხთა საბჭოს გადაწყვეტილება პალესტინის შესახებ? რა არის თვით აღორძინებული ერი? რა არის ყველა ეს თუ არა ჰერცლის გამარჯვება. და როგორ გაიმარჯვებდა ის, თუ რომ მკვდარი ყოფილ იყო. და ყველა ამების გარდაც, ჰერცლი ისედაც განა არ უნდა ჩაითვალოს უკვდავთა რიცხვში? გადავხედოთ ჩვენ მისი უეცრათ გამოსვლის დროის ებრაელთა მდგომარეობას.

წარსულ საუკუნის დამლევს, დასავლეთ ევროპის ებრაელობა საშინელ უფსკრულის წინ იდგა, ცოტა კიდევ და ის დაიღუპებოდა. ებრაელის სახელი გაჰქრებოდა. დასავლეთის ებრაელობამ უღალატა ერს. ამერიკის ორმილიონიან ებრაელობამ, დევნილმა ყველა ქვეყნებში და ვაშინგტონის სამშობლოში თავშესაფარ ნახულმა, მადლობის გრძნობით გატაცებულმა დაიწყო ამერიკანობა და ზურგი შეუბრუნა თავის ერს. არც რუსეთის ებრაელობა იმყოფებოდა უკეთეს მდგომარეობაში. მნიშვნელოვანი, დიდი ნაწილი ინტელიგენციისა ასსიმილიატორობდა. ფართო მასსა კი სასწაულებში ხედავდა თავის ხსნას და იხრწნებოდა უმოქმედობაში. და აი, ამ დროს როდესაც ყველა დარწმუნებული იყო ჩვენი ერის სიკვდილში,—ასსიმილიაციის ბუდიდან, ვენიდან გაისმის ძლიერი ჰერცლის რაინდული ხმა. მისმა გამოსვლამ ყველანი გამოაფხიზლა; მასმა გააგონა თავისი ძახილი, დააჯერა ინტელიგენცია ერის აღორძინებაში—და ყველა დაქსაქსული ნაწილები ებრაელი ერისა შეაერთა ერთი დროშის ქვეშ, რომელნიც ეხლა თავის საყვარელ წინამძღოლთან ერთად გაიძახიან: წინ სამშობლოსაკენ! და განა ის, ვინც ეს სასწაული მოახდინა, შეიძლებოდა მომკვდარიყო?—არა ასეთები არ კვდებიან! მისი ძლიერი ფრთები ეხლაც გვიფარავენ ჩვენ, ახლაც გვესმის მისი: წინ ახალნო მაკაბებო!..

ბ. თავდიდიშვილი.

## ვინ იყო ჰერცლი?

ის იყო ნების ყოფა ებრაელობის.

ის იყო ზღაპარი ებრაელობის.

ნების ყოფა—აღსავსე ძლიერებითა და მხნეობით, სიყვარულითა და იმედით; მოუდრეკელი, ვით სალის კლდე; ნების ყოფა რომელსაც შეეძლო გადალახვა ყოველ გვარი დაბრკოლების.

ზღაპარი—აღსავსე მზითადა სინათლით, სილამაზითა და თავისუფლებით.

ვით ზღაპრული უფლისწული, უეცრად გამოჩნდა ის ებრაელი ერის ცხოვრების სცენაზე.

ის მოვიდა და მოაჯადოვა ყველანი. მან გაამხნევა, გააცხოვლა ყოველი. მისცა ვაჟკაცობა სუსტებს და დიადი მიზანი ცხოვრებისა მძლავრებს.

მთელ ხალხს მან მისცა მნათობი იმედი, შემოქმედებითი ძალა და სიხარული თვითშემეცნებისა.

და მაშინ მან შემოკრიბა თავის გარშემო მრავალი შვილები ერისა და უჩვენა მათ სამშობლო ისრაელისა, და აგრეთვე გზაც, რომელიც მიდის სამშობლოსაკენ. განუწყვეტლად უმღეროდა ის ხალხს თავისუფლების ჰიმნს.

გალობა იყო მომხიბლავი და შეუძლებელი იყო ყურის დაუგდებლობა.

**„ერი მოშე და დავიდისა, ერი წინასწარმეტყველისა, და მაკაბების ისევ უნდა იქნეს თავისუფლებისა და ჭეშმარიტების ერად. არა სასწაულებით, არამედ ნების ყოფის მოხმარებით მან უნდა მიაღწიოს თავისუფლებას.**

**შეერთდით, ძმებო, შეჰქმენით დაუცხრომელი ხალხის თვითნებობა და,—თქვენ იქნებით თავისუფლებად და როდესაც განთავისუფლდებით, თქვენ იქნებით ბედნიერი ერი. ეს იქნება კიდევ ერთი შარავანდედი კაცობრიობის ბედნიერებისა. თავისუფლება გადამდებია, და ვინ იცის, შეიძლება, განთავისუფლებული ისრაელი შესძლებს წინასწარმეტყველების იმედების განხორციელებას და მთელს კაცობრიობას მისცემს ბედნიერებას.**

**გაერთიანებული ხალხი და ერთი მიზანი. არავითარი ეჭვი, არავითარი უთანხმოება. მაშინ... გეუნებით: ისრაელი ხელახლა დაეპატრონება მას, რასაც ის პატრონობდა წინათ და ჩვენი ღმერთი ეს გენია ისრაილისა—კიდევ იქნება ჩვენთან.**

აი ეს იყო ჰიმნი ჰერცლისა.

აი ამ სიმღერიდან შეიქმნა მოწოდება, მოწოდებისაგან—ლოზუნგი და, ლოზუნგისაგან—საქმე.

ის მუდმივ ლაპარაკობდა ერის ძალების გაერთიანებაზე. და მან თავისი ნებისყოფის საშვალებით, რომელსაც ის უმორჩილებდა ყველაფერს, მიაღწია თავის მიზანს: მან შეაერთა ერი და მისცა მას ერთი ლოზუნგი.

ჰერცლის გაგება შეიძლება მხოლოთ ერთ შემთხვევაში: თუ ვიტყვით, რომ ის იყო გრძნეული არაკი. ნუ ვეკითხამთ დეტალებს, ჩვენ შევხედოთ მთელ მის ფიგურას ერთბაშათ.

ჩვენ შევჩერდეთ ცალ-ცალკე ნაწილებზე კი არა, არამედ მათ ერთ გიგანტიურ ჰარმონიულ გაერთიანებაზე.

ის სცდებოდა? შეიძლება! მაგრამ ის ქმნიდა ცხოვრებას.

რას წარმოვადგენდით ჩვენ ჰერცლამდის? თითქმის არაფერს.

ზოგი ამყარებდა იმედებს მილიონერებზე, ზოგი უცდიდა სასწაულს, ზოგი კი საზრდოობდა და კმაყოფილდებოდა სხვის სუფრაზე.

ის მოვიდა: საწყლებმა იგრძნეს თავიანთი თავი მდიდრებათ ძალით და მხნეობით; ღვთის მოშიშენი გადიქცნენ საქმის ხალხად, და ისინი ვინც სხვის სუფრაზე სტკბებოდენ, დარცხვათ და დაბრუნდენ თავის ერთან. ადტაცებაში მოსულები, არც კითხულობდენ; „როგორ?" მან ხომ მონახა პასუხი კითხვებზე: „რათ" და „სად": ის მონახავს პასუხს „როგორ"—ზედაც.

და ჩვენ ვიცდიდით, სანამ მან არ მოგვცა პასუხი **ყველა** კითხვებზე. და რა გასაკვირველია თუ ის კიდეც სცდებოდა? მან ხომ ცოცხალი, ნამდვილი შემოქმედება მოგვცა! ეს კი სრულიად საკმარისია.

შ. პალეფი.

## ჰერცლის ხსოვნას.

დღეს მეთუთხმეტჯერ ბრუნდება ბედკრული 20 თამუზი. 15 წელიწადია, რაც ებრაელობამ დაჰკარგა ჰერცლი და სამუდამოთ გამოესალმა მას. წრეუნდელი 20 თამუზი უეცრად სამგლოვიარო დღიდან გადიქცა საზეიმო დღეთ, ვინაიდან წელს ჰერცლის იდეა, მისი ოცნება დაგვირგვინებული იქმნა სრული გამარჯვებით: მთელი კაცობრიობის სასამართლო ტრიბუნალმა, საზავო კონფერენციამ სცნო ებრაელ ერის უფლებები პალესტინაზე (რაიც შეადგენდა ჰერცლის ოცნების უმთავრეს საგანს) ეს გამარჯვება მას სწამდა და მოელოდა მას: „არ ვიცი, ამბობდა იგი, მე თუ ვიცოცხლებ იმ დღემდე, როდესაც ჩვენი მისწრაფება გაიმარჯვებს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ხნის ხალხი თავიანთ თვალით დაინახავენ ჩვენი სურვილების განხორციელებას. ჩვენ თავისუფლათ ვიცხოვრებთ ისრაელის ქვეყანაში". ამ მხრივ მან პირდაპირი წინასწარმეტყველური შორსმჭვრეტლობა გამოიჩინა, როგორც მკითხველი დაინახავს.

ჯერ კიდევ ჰერცლი ჩვენდან იმდენათ მოშორებული არ არის, რომ ის უკვე ისტორიას ჩაებაროს, ის კიდევ ჩვენ თავს დაგვტრიალებს, ჩვენ ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ვგრძნობთ მას. და დღეს, მის იდეალის გამარჯვების დღესაც, ჩვენ ვეკითხებით ჩვენ თავს: ნეტავ რას იზამდა ამ შემთხვევაში ჰერცლი, რომ ცოცხალი ყოფილიყო: როგორ შეამკობდა ის ამ გამარჯვებას? და თუ დღეს ჩვენი მოძრაობა გადიქცა მთელი ებრაელ ერის ავანგარდათ, მისვე მოძრაობათ, თუ ჩვენი დროშის ქვეშ შემოკრბენ მთელი მილიონები ჩვენი ერისა, ეს მხოლოთ იმიტომ რომ ჩვენი ეროვნულ გმირის სახე შეუცვლელათ სცოცხლობს ჩვენ მასში და მოუწოდებს სიმხნევისაკენ და უნათებს მას გზას სამშობლო პალესტინისაკენ. ჰერცლი, გარეგნული შეხედულობით ნამდვილი ტიპი სემიტისა, შავი თვალების, ლამაზი სახისა და მაღალი ტანის პატრონი, ადამიანი იყო შესამჩნევი ჭკუისა ორგანიზატორის ტალანტით და სრული იმედების პატრონი. მისი იმედები არ სცხრებოდა. ის ამბობდა „ოცნება არც ისე შორსაა სინამდვილისაგან, როგორც ეს ეჩვენება ბევრსაო" ან და მისი ცნობილი ფრაზა მის მიერ გამოთქმული თავის „ებრაელთა სახელმწიფო"-ში „თუ თქვენ გსურთ, ეს არ იქნება ზღაპარიო". ის მთელ იმედებს ამყარებს თვით ხალხზე, მის თვითმოქმედების უნარზე ამ მოსაზრებით ის მოუწოდებდა ებრაელ ერს ჯერ გამოფხიზლებულიყო იგი მონური ცხოვრებისგან, მჭიდროთ შეკავშირებულიყო მთლიან ეროვნულ ორგანიზაციით და მერმედ კი ყველაფერი თავის გზით წავაო. როდესაც ერთხელ მას ჰკითხეს სიონიზმის გამარჯვების შანსებზე, მან მიუგო: „თქვენ

## შაბათს, დილის 9½ საათზე ი. ციციაშვილის სალოცავში გადახდილი იქნება პანაშვიდი ებრაელების წინამძღოლ ჰერცლზე.

კვირას 20 ივლისს, ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის დარბაზში შესდგება სახალხო კრება, მიძღვნილი

## ჰერცლის

გარდაცვალების საიუბილეო თუთხმეტი წლისთავს. კრება გაიხსნება სრულ 5 საათზე.

მზათა ხართ?“ ის მთელ თავის იმედებს ამყარებდა ხალხზე და მის ნებაზე.

ჰერცლს სწამდა, რომ სიონიზმის უმთავრესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქნას ერის ეროვნულად გამოღვიძებისაკენ, მისთვის ასსიმილიაციის გზის დაკეტისაკენ, ვინაიდან ამ შეითხვევაში სამშობლოს იდეა მასში თავის თავათ იფეთქებს. ის ამბობდა: სიონიზმი ჯერ ებრაელობასთან დაბრუნებას ნიშნავს და შემდეგ კი ებრაელთ ქვეყანაშიაო“.

შეუფასებელი და აუწერავია ჰერცლის სიდიდე კონგრესის იდეიის შექმნით. მან იცოდა, რომ ხალხის შეკავშირებისათვის ორგანიზაციულათ, საჭიროა მისივე (სახალხო) ტრიბუნა, საიდანაც გაისმებოდა მისი მძლავრი და ავტორიტეტიული ხმა. და მან შექმნა კონგრესი გამომხატველი ერის სურვილებისა და მისწრაფებისა. ნათქვამია: „იეშ კონე ყოლამო ბეშაყა ახათ.“ (ზოგნი უკვდავხდება ერთ საათში). სწორეთ უკვდავ ჰყო ჰერცლმა თავისი თავი პირველი კონგრესის გახსნის დროს. კონგრესმა ჩამოაყალიბა ხალხის გულში მუდამ არსებული ოცნება სიონის მომავალ აყვავებაზე და მისცა მას ორგანიზაციული სახე.

თუ ორი ათასი წლის განმავლობაში ჩვენი ერის გულში თუ გინდ ერთ წამსაც არ ჩამქრალა სიონის მომავალის იმედები და თუ ჰერცლამდის კიდეც არსებობდენ ჩვენში სიონის იდეიის მქადაგებელნი, რომლებმაც ვერ დაიმსახურეს ჰერცლის ღირსებამდე, ეს იმიტომ რომ მხოლოდ და მხოლოდ მან მისცა მოძრაობას თანამედროვე პოლიტიკური სახე და ჩვენი შიგნით გულის ნადები გარეთ გამოიტანა, მთელი მსოფლიოს წინ გადაშალა და დაანახა მას თუ რა არის ჩვენი ერის საბოლოო მიზანი.

ჰერცლი იყო ტიპი ამაყი ებრაელისა თავის შთამომავლობით, განთავისუფლების იდეალებით აღჭურვილი და მძლავრი ერის ნათელ მომავლის რწმენით. ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა ერთ დიდ სახელმწიფოსამ ასე განაცხადა მასზე: „მე პირველათ ვხედავ ასეთ ამაყ ებრაელსაო“. ის იყო პირველი ამაყი ებრაელი, წინაპარი თანამედროვე აღორძინებულ ებრაელობისა. ბედნიერია ის ერი, რომელმაც შექმნა ჰერცლი და უკვდავ არის ჰერცლიც, რომ შექმნა ახალი, წელში გამართული, ებრაელობა.

ბენ არცი.

## მაქს ნორდაუ—სიონისტი.

ჩვენ წინ არის—შეუწყალებელი პროკურორი თანამედროვე კაცობრიობის სულიერი და პოლიტიკური ცხოვრებისა. მკაცრი, პოზიტივისტი, შეიარაღებული მრავალ გვარი და დისციპლინარული ცოდნით, სასტიკი ინტელექტუალისტი, რომელიც ზიზღით იგერიებს, ყველაფერს, რაც არ შეიძლება იქნეს ცივი გონების გამოსაკვლევ საგნათ; შეუბრალებელი გამომჟღავნებელი, ულმობელი, ჩამომხდელი გარეგნული საფარველისა გამოკვლეულ მოვლენებისგან—ის ათწლობით მხოლოდ იმას აკეთებს, რომ აშკარავებს, მჭრელი, ხირურგიული დანით შლის ყველაფერს, რასაც კი მოხვდება მისი გამჭრიახი მხედველობა. მასზე გაბედულათ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე კულტურულმა ევროპამ მასში იპოვა თავისი მეფისტოფელი. ხშირად გვგონია, რომ განრისხებულ ინტელექტს ამოურჩევია ის თვისი ანჯაყების იარაღათ, რო ულმობელათ გადარეცხოს, გააქარწყლოს ყველა ის, რაც არ ურიგდება მის ობოლიუტურ გამეფებას.

ტოლსტოის ცნობილი „Крейцерова Соната“ მან გამოაცხადა ინგლისელ ბერი ქალების სახარებათ, და ტოლსტოის ალტრუისტიული მოძღვრება—უვიცების და ყურ მოჭრილების სოციალიზმათ. ვაგნერის მუსიკაში ის ვერაფერს ხედავს გარდა ეროტიული სიმახინჯისა და ძალიან საგვეო ფორმის ისტერიისა. იბსენის მხატვრული და მორალური ახალი გამოკვლევანი, ნიცშეს ინდივიდუალური ქადაგება. მეტერლინკის მისტიური შემეცნებანი,—ყველა ეს აღმოჩნდა მისი სკალპელის ქვეშ უმეცრებათ, სიბრიყვეთ, როტვათ, გლახა მოჩვენებად, აზროვნების სისუსტეთ, ნარკოტიზმის შედეგათ. ერთის სიტყვით ის ანადგურებს ერთის ხელის გასმით ყველაფერს, რაზედაც ასწლობით უმუშავნია კულტურულ კაცობრიობას.

საიდან ირის ეს ძალა? საიდან არის ეს პაფოსი, რომელიც მიმართულია დაარღვიოს, აშალოს ყოველიის, რასაც დამოკიდებულება აქვს სულიერ ცხოვრებასთან? რაშია მიზეზი, რომ ნორდაუ მთელ თავის ცოდნას, ენერგიას, ნიჭს ხმარობს მხოლოდ მისთვის, რომ გაანადგუროს, დალეწოს, რაც კი კაცობრიობის ღირებულებას წარმოადგენს? მოწაფე ლომბროზოსი და მარქსი, მან კიდევ მასწავლებლებს გაუსწრო:

ნორდაუს იმდენათ არ სწყუროდა გამოერკვია ობსოლიუტურ პოზიტიური ჭეშმარიტება, რამდენათაც ის მიისწრაფვოდა დაეფუშა, დაერღვია ყველა „არაჭეშმარიტი“, არა პოზიტივური, რაც არ ურიგდებოდა ინტელექტს. ნორდაუს ძალა არის არა დამტკიცებაში, არამედ უარყოფაში, არა აღმაშენებლობაში, არამედ დანგრევაში ჩვენ აქ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ სულიერ ექსცესებთან, ერთგვარ „შურისძიებასთან“. მოვლენა—ნორდაუ, შეიძლება აიხსნეს ინტელექტის გადაჭარბებით კი არა, (იმიტომ რომ ასეთი გადაჭარბებული ინტელექტი ბუნებრივათ უნდა მიმართული იყოს შემოქმედებითი მუშაობისკენ,) არამედ არაინტელექტუალური,, ინსტიქტიური გრძნობის ელემენტთა უქონლობით.

რამოდენიმე კრიტიკოსები თავის დროზე ამბობდენ, რომ ნორდაუს უარყოფითი სულს, თავის ფესვი აქვს მის ებრაელობაშიო. ეს, რასაკვირველია, იმ აზრით კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს უარყოფითი სული და მკაცრი ინტელექტუალიზმი თითქოს ებრაელი ერის თვისება იყოს (როგორც ამას სცდილობდენ დაემტკიცებიათ ანტისემიტებს). მიზეზი აქ იმაშია, რომ ნორდაუს ებრაული გვარიშვილობა სრულ უთანხმოებაში იყო მის არაებრაულ, არაეროვნულ არსებობასთან და განვითარებასთან. ნორდაუ გამცნო ევროპის ყველა ერების ცხოვრებას, შეისწავლა ყველა ერების კულტურა. მხოლოდ ებრაული მან არა იცოდა რა, მხოლოთ თვისი ერის კულტურას იყო მოცილებული, თითქოს არაფერი არ აკავშირებდა მას თავის ერის წარსულთან. ის ებრაელობიდან შორს იყო და ვერც უცხო ერების „წმინდათა წმინდაში“ შევიდა, ის მისთვის დაკეტილი იყო და არც სურდა მას იქ შესულიყო, ვინაიდან მისი სული ყოველთვის ფრიად სუფთა და წრფელი იყო, რომ ეკადრებინა მექანიურათ გაემეორებია უცხო ლოცვების სიტყვები. და რადგანაც ის მოკლებული იყო თავის მშობლიურს, მან თავის რისხვა მიაქცია უცხოელთა კულტურისაკენ. ნორდაუ ინსტიქტიურათ, შეუგნებლათ იყო შურისძიების იარაღად ებრაელი ერისათვის, რომელშიდაც ჩაჰკლეს მშობლიური სული და არც სხვა სული არ მისცის. „თქვენ გაანადგურეთ ჩემი მსოფლიო—? ეუბნებოდა ნორდაუ ევროპის ერებს,—ვეცდები მოგიწამლოთ თქვენი მსოფლიოც“ ასეთი იყო შეუგნებელი, ინსტიქტიური ლოღიკა ნორდაუს მოქმედებისა.

მის სულს სწყუროდა განთავისუფლება და ეს თავისუფლება მოვიდა: ის მოუტანა მას სიონიზმმა, რომელსაც ნორდაუ შიემხრო მისი წარმოშობის პირველ დღეებშივე. ნორდაუ სიონისტი ერთბაშად გადიქცა ყველაფრის უარმყოფელისგან, იდეალისტური მისწრაფების მატარებლათ. რამდენათ განსხვავდებიან ერთი მეორესგან ნორდაუ 1887 წლის (როდესაც გამოვიდა მისი „Парадоксы“) და ნორდაუ 1897 წლის [სიონისტთა პირველი კონგრესის მოწვევის წელი)! ნაცვლად განადგურებული სხვისი ტაძრის, შეუდგა თავის საკუთარ ტაძრის მოწიწებით აშენებას. ის, რომელიც ათი წლის წინათ წინასწარმეტყველობდა, რომ „პატარა და სუსტი ერები გაჰქრებიან და ასეთ მოვლენაზე სენტიმენტალური სული ცრემლებს დაღვრის, გამსჯელი, ჭკვიანი ადამიანი კი ჩარისხამს მათ ცხოვრების ღრომოჭმულ ფორმებათ, რომლებსაც მსოფლიო განვითარება ჩამოსცილდათო *) ეხლა თვითონვე უარი სთქვა ასეთ საპატიო ტიტულზე, როგორც „საღად მსჯელი ადამიანი“, და არჩია გამოეცხადებინა თავის თავი „სენტიმენტალისტათ“.

(დასასრული იქნება **)

ს. ც.

## მაქს ნორდაუ.

(ბიოგრაფია.)

გამოჩენილი ებრაელი მოღვაწე და მსოფლიო სწავლული მაქს ნორდაუ, დაიბადა 1849 წ. 23 ივლისს სეფარდულ არისტოკრატიულ ოჯახში. ნორდაუს მამის წინაპართა რიცხვში ითვლებოდა რაბი იოსებ-ბენ-ეზერ-ბენ სიმხა ზიდველდი. მამა მისმა, მორწმუნე ებრაელმა, მაგრამ გერმანულ კულტურის თაყვანისმცემელმა აღზარდა ის ევროპიულათ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1873 წ.) ნორდაუმ შემოიარა თითქმის მთელი ევროპა, იმოგზაურა გერმანიაში, რუსეთში, სკანდინავიაში, ინგლისში, ისლანდიაში, საფრანგეთში, ესპანეთში და იტალიაში. 1878 წელს დაბრუნდა ბუდაპეშტში და 1880 წ. საბოლოოდ სახლდება პარიზში. პარიზში ყოფნის დროს არავითარი გარკვეული იდეალი არ ჰქონდა მას დასახული, რომლისთვისაც მას უნდა ებრძოლა, ის მხთლოდ თანამშრომლობდა გერმანო-ავსტრო უნგრეთის მთავარ გაზეთებში: ფრანკფურტერ-ცაიტუნგში, ფოსსიშე-ცაიტუნგში, პერტერ-ლლოიდში და ვინერ-კომპენბლატში. მაგრამ ნორდაუმ გაითქვა სახელი გაზეთების თანამშრომლობით კი არა, არამედ თვისი ფილოსოფიურ-მეცნიერული წიგნებით, რომლებშიაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ევროპიელთა თანამედროვე ცხოვრება, როგორც მაგალითათ: „კონვენციონელლე ლიუგენ დერ კულტურმენშაიტ“, „პარადოხენ“, „ენტარტუნგ“ და სხვ. თითქმის ყველა მის ნაწარმოები გადათარგმნულია ყველა ევროპიულ ენებზედ რომელთაც განუთქვეს მათი ავტორის სახლი მთელი კულტურული კაცობრიობაში. გერმანულ შკოლიდან მან გამოიტანა გერმანელ ნაციონალისტთა სული, და თუ მისი ებრაელ არისტოკრატის სიამაყე არა, ის სრულიად დაკარგული იქნებოდა ებრაელობისთვის. ებრაელობისადმი ინდიფერენტიზმიდან, ის პირველათ გამოიყვანა წარსულ საუკუნის მე 90 წ. საფრანგეთის საზოგადოების გამწვავებულმა ანტისემიტიზმმა. ჯერ ჰერცლის „ებრაულ სახელ-

*) იხ. Парадоксы Кіевъ 1901 г. перев. подъ редак. В. Михаилова.

**) უადგილობის გამო იძულებული ვართ ამ წერილის დასასრული გადავდვათ შემდეგი ნომრისათვის.

რედ.

5/18 ჭ.100ნ

მწიფომდის“, 1894 წ., როდესაც მას შეეკითხენ ებრაელთა საკითხის გადაწყვეტის შესახებ, მან თქვა, რომ ებრაელებისთვის საჭიროა განსაზღვრული ტერიტორიის შექმნა, სადაც ისინი მოისვენებენო. და როდესაც ჰერცლმა წინადადება მისცა მას ეთანამშრომლა მასთან, ის გადაჭრით მიემხრო სიონიზმს. ნორდაუს დიდი ღვაწლი მიუძღვის სიონისტურ მოძრაობაში. მან თავისი სახელი უკვდავყო ლიტერატურული მოღვაწეობით კი არა, არამედ დაუღალავი მუშაობით ებრაელი ერის საკეთილდღეოთ. როდესაც ჰერცლმა მოინდომა სიონისტური კონგრესის მოწყობა და ამის გამო გერმანელ რაბინებმა პროტესტი გამოაცხადეს, ნორდაუ გამოვიდა მათ საწინააღმდეგოთ. ამ დღიდან ჰერცლისა და ნორდაუს სახელი გადაბმულია. 1, 2 3 4 და 5 კონგრესებზე ნორდაუ გამოდის მომხსენებლათ ებრაელთა თანამედროვე მდგომარეობაზე და დიდი გავლენა აქვს კონგრესის მუშაობაზე. ჰერცლის სიკვდილის შემდეგ მას შეეძლიეს სიონისტთა მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტობა, მაგრამ მან უარი განაცხადა და ეს ადგილი დაუთმო დ. ვოლფსონს. მიუხედავათ ამისა ის უახლოეს მონაწილეობას ღებულობს სიონისტურ მუშაობაში და ითვლება მისი ორგანიზაციის საუკეთესო წარმომადგენლად. 1909 წ. მ. ნორდაუს 60 წლის იუბილეის და მისი ნაყოფიერ მუშაობის აღსანიშნავათ, მსოფლიო სიონასტთა ორგანიზაციამ გადასწყვიტა დაეარსებია ერეც-ისრაელში (პალესტინაში) ნორდაუს სახელობის ჰიგიენური ინსტიტუტი.

მიუხედავათ იმისა, რომ ნორდაუ უკვე ღრმათ მოხუცებულია (მას 70 წ. შეუსრულდა), მას არ შეუწყვეტია თავისი დაუღალავი მუშაობა. ამ ჟამადს პარიზში იმყოფება (ომის დროს ნორდ. ცხოვრობდა მადრიდში) და აქტიურ მონაწილეობას იღებს საზავო კონფერენციის მუშაობაში და, სიხარულით ავსებული, რომ ებრაელ ერის აღორძინება თავის თვალით იხილა, აძლევს ჩვენ დელეგაციას მეტათ საჭირო რჩევებს და ცნობებს.

ვუსურვებთ მას კიდევ დიდ ხნის იცოცხლეს აღორძინებულ ერეც-ისრაელში.

— ლი.

## ებრაელების ცხოვრებიდან

### ებრაული მთავრობა პალესტინაში.

**ნიკოლაევი.** 14 ივლისი. პალესტინაში შესდგა დროებითი მთავრობა ინგლისის პროტექტორატის ქვეშ. საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელათ დანიშნულია ცნობილი სიონისტი მანდელშტამი- პალესტინის მთავრობის წარმომადგენელნი ჟაბოტინსკისა და მანდელშტამის მეთაურობით ეხლა იმყოფებიან პარიზში.

### ერეც-ისრაელის თანამედროვე მდგომარეობა.

„აფოუელ ჰაცაყირის ცენტრალურმა კომიტეტმა პალესტინიდან გამოგზავნა დელეგატათ რუსეთში და კერძოთ კავკასიაში ამხ. ი. ბარაცი სახალხო ფრაქციების „ცეეირე-ციონის“ ორგანიზაციებთან კონტაქტის შესაკრავათ.

თავის ბაასში ამხ. ბარაცმა გადმოგვცა შემდეგი ცნობები პალესტინის ცხოვრების შესახებ:

საერთოთ პალესტინის ებრაელთა ახალშენები არ დაზიანებულან. ებრაული ენა თანდათან იღებს სახელმწიფოებრივ ენის ხასიათს და სხვათა შორის ინგლისელების ყველა კომენდანტები სწავლობენ ებრაულ ენას, რომლისათვისაც დანიშნულია განსაკუთრებული გამოცდები. ყოველ გვარ სახელმწიფოებრივ დაწესებულებს განაგებენ ებრაელები.

სივანის თვეში (მაისში) შესდგა ებრაული დამფუძნებელი კრება პალესტინაში.

ამ ჟამად ებრაელ ლეგიონერთა რიცხვი, რომელთაც სათავეში უდგია ცნობილი ვ. ჟაბოტინსკი, აღემატება 6000 კაცს.

ლეგიონერთ უჭირავთ ყოველგვარისა პასუხისმგებლო ადგილები, როგორც მაგალითათ: რკინის გზების დაცვა, ქალაქის საგარნიზონო სამსახური და სხვა მრავალი ასეთები. ამ ომის განმავლობაში გერმანელების და ინგლისელების მიერ პალესტინა მოფენილ იქნა მთელი რიგი რკინის გზის ლიანდაგით, მაგალითათ: გაყვანილია რკინის გზა იერუსალიმიდგან კაიროში, იაფაში, დამასკში, ხაიფაში, იერიხონში, ბეერშებაში (ხებრონის გზით). აგრეთვე რკინის გზით გაერთიანებულია ყველა კოლონიები.

რაც შეეხება ეკონომიურ ცხოვრებას პირველი საჭიროების სასურსათო საგნები გაძვირდა 2 – 3 ჯერ ომამდე არსებულ ფასებთან შედარებით.

— **ხაიაფა.** ინგლისელებს პროექტში აქვთ ხაიაფასა და ყაქოს შუა მოკლე ხანში დიდი პორტის მოწყობა, სიგძით 14 კილომეტრი.

— **მსოფლიო ებრაელთა კონგრესი.** პირველი ნაბიჯები მსოფლიო ებრაელთა კონგრესის მოწვევისათვის უკვე გადადგმულია. ჰოლანდიის კორესპოლენც ბიურო იუწყება, რომ ჰოლანდიის სიონისტთა წლიურ კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, გამოსცენ მოწოდება ყველა ებრაელებისადმი, რომ საჭიროა დაუყონებლივ მომზადება მსოფლიო ებრაელთა კონგრესის მოწვევისათვის. ასეთივე დადგენილება მიიღო ამერიკის ებრაულმა კონგრესმა, ასეთივე აზრი გამოსთქვა რუსეთის, პოლონეთის, ავსტრიის, გერმანიის, რუმინიის და სხვ. ებრაელობამ. ასე რომ ყველა კუთხის ებრაელობას ჰმართებს მომზადება მომავალ კონგრესისათვის, რომელსაც მოუთმენლათ ელის მთელი ებრაელობა.

— **პალესტინის კვირა ინგლისში.** ებრაულ ეროვნულ ფონდის მთავარმა ბიურომ მოაწყო ინგლისში პალესტინის კვირა, რომლის შემოსავალი გადადებული იქნება პიონერთა ფონდის შესაქმნელათ. „კვირამ“ ჩაიარა დიდი მორალურ და მატერიალური გამარჯვებით.

— **პრაგა.** დიდის ზეიმით გაიხსნა ჩეხო-სლოვაკიის ებრაელების ეროვნული კონგრესი, რომელსაც დაესწრო 340 დეპუტატი ბოგემიიდან, მორავიიდან, სილეზიიდან და სლოვაკიიდან. კონგრესს დაესწრო მრავალრიცხოვანი სტუმრები დარწმუნებულნი სხვა და სხვა ჩეხურ პოლიტიკურ პარტიების და საზოგადოებანის. კონგრესმა მიიღო მისალოცი დეპეშები მთავრობის პრეზიდენტ მასარიკისგან და სიონისტურ ორგანიზაციის მერქაზისგან. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია პალესტინაში ებრაელ სახელმწიფოს შექმნაზე ინგლისის პროტექტორატის ქვეშ.

— **სიონისტები და „აგუდათ ისრაელი“.** „აგუდათ ისრაელის“ ცენტრალურმა კომიტეტმა ფრანფურკტში შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა მსოფლიო სიონისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტს კოპენჰაგენში:

„ჩვენ დიდის სიამოვნებით ვიზიარებთ თქვენს აზრს და ქედს ვიხრით თქვენი დიდების წინაშე. თქვენი დიადი გიგანტური მუშაობა ებრაელ ერის საკეთილდღეოთ და ამ მუშაობის დაგვირგვინება სრული გამარჯვებით მსოფლიომ პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენ ეროვნულ ტერიტორიალურ საკითხებში, საუკეთესო გამომხატველი ფაქტია თქვენი სიდიდისა და ერთგულობისა ებრაელობისადმი. ჩვენ, როგორც გამომხატველნი ებრაელთა მთელი ორტოდსკიის აზროვნებისა, მიგთხოვთ, რომ ერეც-ისრაელის მომავალი აღმაშენებლობა სწარმოებდეს ჩვენი ტრადიციებისა და კანონების და მიხედვით. გვსურს რა, ჩვენც შევიტანოთ ჩვენი ღვაწლი და წვლილი პალესტინის აღორძინებაში პრაქტიკულათ, გთხოვთ გვაცნობოთ, თუ რა პირობებში შეგვიძლიან თქვენთან ერთათ ხელი ხელ ჩაკიდებული შეუდგეთ ჩვენი ისტორიულ სამშობლოს აღორძინებას“.

ამ წერილზე სიონისტების ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი პასუხი მისწერა: „ჩვენ გულითად სიამოვნებას გამოვთქვამთ თქვენი წერილის გამო. გარდა ამისა რაც შეეხება იმას, ვითომც და თქვენ გამოხატავდეთ მთელი ორტოდოკსიის აზრს ამაზე ჩვენ პროტესტს გიცხადებთ და მოგაგონებთ, რომ ჩვენ ორგანიზაციაში ირიცხვებიან ბევრი ათეული ათასები ორტდოქსიისა.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი მუშაობა პალესტინაში ექვემდებარებოდეს თორის კანონებს, ეს ჩვენ საკმაოთ გამოვიმუშავეთ 1 კონგრესზე და დანარჩენებმა კი ეს საკითხი უფრო გაანვითარეს და გააფართოვეს.

მოლაპარაკებაზე პალესტინაში სამუშაოთ გიპასუხებთ, რომ ამ საკითხზე ჩვენ ყოველ ჟამს მზათ ვართ თქვენთან მოლაპარაკება დავიწყოთ“.

— **ლორდ რიდინგი.** პარიზის გაზეთების ცნობებით ლორდი რიდინგი დანიშნულია ევროპისთვის საკვები მასალების მიმწოდების უმაღლეს ორგანოს თავმჯდომარეთ. ლორდ რიდინგი არის ინგლისის დელეგაციის წევრი, და, როგორც ცნობილია, ებრაელია ტომით და მომხრეა სიონისტური მოთხოვნილებების პალესტინაზე.

— **როსტოვი.** ადგილობრივმა მილიონერმა გორდონმა შესწირა იერუსალიმის უნივერსიტეტს ერთი მილიონი მანეთი.

— **დეკლარაცია ადმირალ კოლჩაკის ებრაელთა საკითხზე.** 6 ივნისს ომსკიდან გამოგზავნილ დეპეშის თანახმად ადმ. კოლჩაკმა შემდეგი დეკლარაცია გამოსცა:

„ჩემამდის მოაღწია ცნობებმა, რომ ებრაელები შიშობენ თავიანთ მომავალ მდგომარეობაზე რუსეთში, ამისათვის მე საჭიროთა ვცნობ მოვაგონო მათის პრინციპები, რომელნიც არა ერთხელ სახალხოთ ვაღიარე. მთავრობისათვის ნაბრძანები უზრუნველჰყოს რუსეთის ყველა ერების, განურჩევლათ სარწმუნოებისა სრული თანასწორობა კანონის წინაშე, რომელმაც ყველა მოქალაქეს ხელუხლებლობის გარანტია უნდა მისცეს. მე მრავალჯერ გამომითქვამს ეს აზრი იმ ბაასში, რომელიც მქონდა ებრაელთა ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლებთან რომლებიც მოდიოდენ ჩემთან, რათა გამოეთქვათ თავიანთი ლოიალობა და პატრიოტიზმი. ამას ადასტურებდენ ფულის შემოწირვით ჯარის საჭიროებისათვის. ზემო აღნიშნულ აზრის მიხედვით არ შეიძლება დაშვებული იქნეს არავითარი მანიფესტაციები, რომელნიც სხვა და სხვა ეროვნებათ შორის შუღლს გააღვივებს და დაარღვევს მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებას.

— ცნობები არის, რომ ინგლისის მთავრობის ნებართვით ახლო მომავალში მოეწყობა ყველა ქვეყნებში თავისუფალი მობილიზაცია ებრაელთა ახალგაზდებისა პალესტინის ებრაელთა ლეგიონთათვის.

### პარტიული ცხოვრება.

#### თბილისი.

— თბილისის სიონისტთა ორგანიზაციამ მიიღო წერილი **ვლ. ჟაბოტინსკიდან,** რომელშიდაც იუწყება, რომ ის მოლაპარაკებას აწარმოებს **ინგლისის** მთავრობასთან, რათა მას მისცენ ნება მოახდინოს კავკასიის ებრაელებში ახალგაზდების თავისუფალი მობილიზაცია პალესტინის ებრაული ლეგიონისათვის.

— **ბაქო.** 6 ივლისს შესდგა ახლად ამორჩეულ საოლქო კომიტეტის პირველი სხდომა: კომიტეტის თავმჯდომარეთ ამოირჩა აზერბაიჯანის პარლამენტის წევრი, **მ. ა. გუხმანი,** მოადგილეთ მ. ა. ციპინიდა მდივნათ ა. ი. გინზბურგი. სხდომაზე განხილულ იქნა სხვა და სხვა ორგანიზაციული საკითხები. სხვათა შორის კომიტეტმა დაადგინა, გამოცეს სიონისტური ორგანო „თათსკი“ ენაზე (მთიელ ებრაელთა ჟარგონი). ასეთ ორგანოს დიდი მნიშვნელობა ექნება მთიელ ებრაელების კულტურულათ განვითარებაში.

— სიონისტთა ორგანიზაციის კავკასიის საოლქო კომიტეტის კულტურულმა კომისიამ დაადგინა გახსნას ბაქოში ებრაული ენის სამასწავლებლო კურსები. ასეთი კურსები წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, ვინაიდან, როგორც საქართველოს, ისე აზერბეიჯანის ებრაელთა შორის დიდი მოთხოვნილება არის ებრაული მასწავლებლების

#### ქუთაისი.

— ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის კომიტეტმა 14 ივლისს თავის სხდომაზე დაადგინა: 1) კვირას, 20 ივლისს მოეწყოს დიდი საერთო კრება ჰერცლის გარდაცვალების მეთხუთმეტე წლის აღსანიშნავათ; 2) დაუყონებლივ მოეწყოს დიდი მასშტაბით ფულის მოგროვება საქართველოს ებრაელთა სახელობის პალესტინაში კოოპერატიული კოლონიის მოსაწყობათ. სხდომაზევე ამ მიზნისათვის შემოიტანეს 3300 მანეთი.

— **28 ივლისს შესრულდება 70 წელიწადი მაქს ნორდაუს დაბადებიდან.**

— კვირას 20 ივლისს, სიონისტთა ორგანიზაციის დარბაზში შესდგება დიდი სახალხო კრება მიძღვნილი ჰრცლისა და ნორდაუს იუბილეის.

— **რედაქციისაგან** ძველ ხელის მომწერლებს უკანასკნელათ ეგზავნებათ მე-10 ნომერი. საჭიროა გაზეთის დაკვეთა განაახლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

პროვინციელ აგენტებს ვსთხოვთ საჩქაროთ გაასწორონ ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა შეწყვეტილი იქნება.

შემდეგი მორიგი ნომერი „ხმა ებრაელისა“ გამოვა კვირას 27 ივლისს.

## შემოწირულება.

**რედაქციამ მიიღო გაზეთ „ხმა ებრაელის“ ფონდის გასაძლიერებლათ შემდეგი შემოწირულება:** 1) ი. მოშიაშვილმა 500 მან, 2) შ. რიჟინაშვილმა 200 მან, 3) ელიგულაშვილმა 200 მან., 4) ბ. ფიჩხაძემ 100 მან., 5] მალქა მოშიაშვილისამ 100 მან., 6] სონია თოფჩიაშვილის ასულმა 100 მან., 7) მორ. ჩიკვაშვილმა 100 მან., 8) ი. ჩაჩაშვილმა 100 მან., 9) ხ. პაპიაშვილმა 100 მან., 10) ია. პაპიაშვილმა 100 მან., 11) ე. რიჟინაშვილმა 100 მან., 12) ხ. იაყობიშვილმა 100 მან., 13) ლიხა ა. მაწონაშვილისამ 100 მან., 14) ი. იაყობიშვილმა 100 მან., 15) ე. რიჟინაშვილმა 100 მან., 16) მ. რიჟინაშვილის ასულმა 100 მან., 17) ნინა თოფჩიაშვილის ასულმა 50 მან., 18) მ. ფიზიცვმა 50 მან., 19) მ. ციციაშვილმა 50 მან., 20) ე. თოფჩიაშვილმა 50 მან., 21) ა. პაპიაშვილმა 50 მან., 22) ლ. ფიზიცვისამ 50 მან., 23) ი. იაყობიშვილმა 50 მან., 24) ა. თოფჩიაშვილმა 50 მან. სულ 2600 მან.

რედაქცია უღრმეს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

**გამოცემა სიონისტთა ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის.**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი ძმ. ბერუჩოვებისა, ქუთაისში